ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N11
24 ივნისი 2022 წ.

დაბა ლენტეხი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის დაბა ლენტეხის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის კერძო საკუთრებაში არსებული ფართის გარეთ ყოლის აკრძალვის წესის დამტკიცების შესახებ"ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29აპრილის N-07 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს,**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29-აპრილის N-07 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 01025005035.115.016352 02/05/2022 წ) და დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 2. დამტკიცდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის დაბა ლენტეხის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის კერძო საკუთრებაში არსებული ფართის გარეთ ყოლის აკრძალვის წესი (დანართი N-1)"

2. დადგენილების მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 3. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 148-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირება განახორციელოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და სამშენებლო ზედამხედველობის სამსახურმა და ა(ა)იპ-მა ,,კომუნალური მომსახურეობა და კეთილმოწყობა" (ს/ნ 434065655).

3.დადგენილების მე-4 მუხლი ამოღებულ იქნას.

4.დადგენილების დანართი N-1 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი გაზდელიანი